საქართ. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

ᲪᲕᲘᲚ. ᲤᲐᲡᲘ 50ᲗᲐ ᲛᲐᲜ. ▭ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪ. 5000 ᲛᲐᲜ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ № 349

სამშაბათი, ნოემბრის 21 1922 წ.

გულდათუთქულნი: მეუღლე მარგარიტა ალმასხან გოგიბერიძის ასული; შვილები: კესარია, ოლიჩკა, ვარდო, ოცია, დარისპან, ალმასხან, ივანე, სეფე კუპულია; რძლები: ქრისტინე, პელაგი, ეპრასია, მარია, ეფემია და მარია; ძმის შვილები: ნესტორი, გიორგი, ბეგლარი; შვილის შვილები: ოფელია, შალვა, ცოტნე ლომთათიძენი; სიძეები: სანდრო შონია, სანდრო თედორაძე, ბესარიონ კვაპანტირაძე და კაპიტონ ჭანიშვილი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დაუვიწყარის

გიგო მიქელის ძე კალანდაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 25 ნოემბერს, დ. ხიდისთავში (გურია)

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

სამშაბათს 21 ნოემბერს

სიმაღინჯე

დადგმა მ. ქორელისა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 158. 1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

სამშაბათს 21 ნოემბერს

ევგენი ანეგინი

ოთხშაბათი 22 ნოემბერს

ფრიის ქალი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ. კასსა ღია 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

№ 158. 1—1

ლოზანას კონფერენცია და საბჭოთა რესპუბლიკები

ამ ერამდე ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტა იარაღით და პირის პირებიდან და ბრძოლის ველიდან დიპლომატიური ურთიერთობის საგანი შეიქმნა უმთავრესად. ანტანტის დიპლომატიამ ვერ შესძლო იარაღით ხელში ოსმალეთის საკითხის გადაწყვეტა და ფორმალურად უპირატესობა დიპლომატიას მიანიჭა საკითხის მოგვარებაში. მაგრამ აღმოსავლეთის საქმენი იმდენად დახლართული და გაბნეული გამოდგა, ისეთმა ინტერესთა დაპირისპირებამ იჩინა თავი ამ კითხვაში, რომ დიპლომატია გარდუვალ ზღუდეების წინაშე დასდგა და იქიდან გამოსვლა დღესაც ვერ მოუხერხებია.

აქ ერთი მეორეს ებრძვის არა მარტო ევროპის იმპერიალიზმისა და ოსმალეთის ნაციონალისტების ინტერესები, არამედ ერთი მეორეს უპირისპირდება თვით მოკავშირეთა ინტერესებიც. აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის დროს აგრეთვე თავის პრეტენზიებს აცხადებენ საბჭოთა რესპუბლიკები. ყველა ამ ინტერესთა შეფარდება და საკითხის მოგვარება ძლიერ ძნელი და რთული შეიქმნა ევროპის დიპლომატიისათვის.

ლოზანას კონფერენცია, რომლის დანიშნულება აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში გამოიხატება, გამოუარკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. ლოზანის დიპლომატიის მთავარი მიზანი დღეს მიმართული არის იქითკენ, რომ შემთანხმებული ხაზი მონახოს საფრანგეთან და იტალიასთან და ასე გაერთიანებული სახით დაუპირისპირდეს ოსმალეთს. ერთის მხრით, თუ ის ცდილობს გაერთიანებული ფრონტის შექმნას მოკავშირეთა შორის, მეორეს მხრით მისი პოლიტიკა მიმართული არის მოპირდაპირე ძალების დანაწილებასა და დაქსაქსვისაკენ. ფორმალურად ანტანტისათვის მოპირდაპირე ძალას წარმოადგენს აღმოსავლეთში ქემალ-ფაშას მთავრობა, არსებითად კი ანტანტის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ ქემალთან ერთად გამოდიან საბჭოთა რესპუბლიკებიც. საბჭოთა ფედერაციამ ანტანტის იმპერიალისტების პოლიტიკას აღმოსავლეთში დაუპირისპირა სალი სოციალისტური პრინციპი ერთა თვით გამორკვევა და ოსმალეთთან ნამდვილი მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა. თუ ანტანტის პოლიტიკა არის ომ მალოს და მონება და თვისი საწვავი ფურად გადაქცევა, საბჭოთა ფედერაციი ამ პოლიტიკას თავშივე უარყოფს და იცავს ოსმალეთის სუვერენობას.

ასეთს პირობებში ინგლისის ყურადღების მეორე ცენტრს წარმოადგენს ოსმალეთ-საბჭოთა ფედერაციის ურთიერთობის საკითხი. მას სურს ლოზანას კონფერენციაზე განმარტოებულ ოსმალეთან ჰქონდეს საქმე. ამ მიზნის მიღწევას ის ორ გზით ცდილობს. ერთის მხრით ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობას უპირისპირებს სულთანის მთავრობას და ამით თვ თ ოსმალეთის ძალთა დაპირისპირებით სურს შეასუსტოს ქემალის გავლენა და მნიშვნელობა. ნოემბრის 4 ს დადგენილებით ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ სულთანის მთავრობა, რომელმაც მოწიწებით ქედი მოიხარა ინგლისის წინაშე და სევრის ხელშეკრულების ხელი მოაწერა, გადაყენებულად გამოაცხადა. ინგლისი კვლავ ცდილობს გამოიყენოს ექს-სულთანი თავის მიზნებისათვის და მეამბოხის როლში გამოჰყავს ქემალის მთავრობის მიმართ. ინგლისელების კარნახით სულთანი უარს ამბობს დაემორჩილოს დიდი ეროვნული ყრილობის დადგენილებას და ასე ადვილად ხელს არ იღებს თავის ტახტიდან. ეს გარეშოება თავის თავად ძლიერ ამწვავებს ოსმალეთის შინაური მდგომარეობას, ხელს უშლის მას გაერთიანებული ფრონტით გამოვიდეს საგარეო პოლიტიკაში. ინგლისს სურდა ლოზანას კონფერენციაზე სულთანის მთავრობაც დაეშვა და ამ გვარად ქემალის „გადამეტებულ“ მოთხოვნილებებისათვის—სტამბოლის მთავრობის „ზომიერი“ მოთხოვნილება დაეპირისპირებინა.

მაგრამ თუ ერთის მხრივ ქემალის მთავრობის წინააღმდეგ ინგლისი იყენებს სულთანს და ამით ასუსტებს მის გავლენას, მეორეს მხრით მისი პოლიტიკა მიმართული იყო საბჭოთა რესპუბლიკების არ დაშვებისაკენ კონფერენციაზედ, რომ ამით ჩამოეცილებინათ ოსმალეთისათვის დამცველი ძალა და მხოლოდ მასთან ჰქონოდა საქმე. თავის პირველ ნოტაში ოსმალეთის მიმართ მოკავშირეებმა გვერდი აუარეს საბჭოთა რესპუბლიკების მოწვევის საკითხებს, რამაც ცხარე პროტესტი გამოიწვია საბ. რუსეთის საგარეო კომისარიატისაგან. შემდეგ უკან დაიხიეს და დაუშვეს მხოლოდ საბჭოთა რუსეთი სრუტეების განხილვის საკითხში. ამის წინააღმდეგაც საპროტესტო ნოტა გაიგზავნა, რომელშიაც რუსეთის მთავრობა მოითხოვდა კონფერენციაზედ სრულუფლებიან წევრად დაწერებას ტ აგრედვე უკრაინისა და საქართველოს მიწვევას.

თავის თავად სრუტეების საკითხის განხილვის დროს კონფერენციაზედ, საბ. რუსეთის მიწვევით ანტანტა დათმობის გზას დაადგა. მისთვის ნათელი შეიქმნა, რომ კონფერენციაზედ გამოტანილ დადგენილებებს რეალური დირებულება არ ექნება, თუ მას არ ცნობენ დიდ-ტანიანი საბჭოთა რესპუბლიკები. ეს გარემოება ითხოვდა ანტანტის მხრით დათმობაზედ წასვლას და საბჭოთა რუსეთის მოწვევას, მაგრამ ისე, რომ მას ხელი არ შეეშალა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში და მხოლოდ გადაწყვეტილ საკითხებთან ჰქონოდა საქმე. ამ ნიადაგზედ ოყო აგებული საბ. რუსეთის მხოლოდ სრუტეების საკითხში დასწრება კონფერენციაზედ.

თავის უკანასკნელს საპროტესტო ნოტაში ჩიჩერინისადმი ბუანკარე უფრო მეტ დათმობაზედ მიდის. მოკავშირეების ნოტის მიხედვით საბჭოთა რუსეთს ეძლეოდა უფლება მიეღო მონაწილეობა სრუტეების საკითხის მხოლოდ განხილვაში. ღღეს ბუანკარე უფრო წინ მიდის თავის ნოტაში; ის სწერს: საბ. რუსეთის წარმომადგენლებს დროებითაში უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სრუტეების შესახებ მოლაპარაკებაში და დადგენილებაში და აგრეთვე უფლება ეძლევათ აღძრან მასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ვხედავთ ამ ნოტით რუსეთის უფლებები კონფერენციაზედ სრუტეების საკითხში საკმაოდ გაფართოებულია და აქ განხილვასთან ერთად მას უფლება ეძლევა დადგენილებაში მონაწილეობის მიღებისა. ასეთი კომპეტენციებზედ ლაპარაკი არ ყოფილა არსებულს ნოტაში.

მაგრამ ბუანკარე მეორე საკითხშიც მიდის დათმობაზედ. მისი ნოტით რუსეთს შეუძლია შეიყვანოს უკრაინისა და საქართველოს დელეგატები, მოკავშირეთა ნოტამ სიჩუმით გვერდი აუარა საქართველოსა და უკრაინის მოწვევას კონფერენციაზედ. პოლიტიკურად ეს ნიშნავდა მათ მიწვევაზე უარის თქმას ბუანკარემ ამ მხრივაც სალი ცვლილება შეიტანა თავისი ნოტით საერთო დადგენილებაში.

ამ გვარად საქართველო და უკრაინა დაშვებულები არიან კონფერენციაზედ. სხვანაირად შეუძლებელი არის ბუანკარეს ნოტის გაგება. მაგრამ საფრანგეთის პრემიერი აქაც დიპლომატიური ხვეხით გამოდის და წინადადებას აძლევს რუსეთს—ეს რესპუბლიკების დელეგატები შენს დელეგაციაში შეიყვანეო. ეს არის ტენდენციური საკითხი და მისი მოგვარება დამოკიდებულია ამ რესპუბლიკების სურვილზე, საკითხის ძთავარი ცენტრი შეეხება მხოლოდ იმას, არის თუ არა საქართველო და უკრაინა, როგორც რესპუბლიკები, მიწვეულნი კონფერენციაზედ.

გენუას კონფერენციაზედ, როგორც გვახსოვს, ბუანკარეს წარმომადგენელი ბარტუ მთელი თავისი ენერგიით მოითხოვდა მხოლოდ მენშევიკური მთავრობის მოწვევას, ღღეს მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ იგივე ბუანკარე ხელს აწერს და ეთანხმება საბჭ. საქართველოს მოწვევის საკითხში.

ამ ნოტას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ერთის მხრით ეს არის დიდი გამარჯვება დიპლომატიურს ფრონტზე საბჭოთა რესპუბლიკებისა, მეორეს მხრით ამ ნოტამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაუფანტოს ჩვენში ილუზიები იმ ხალხთ, რომელთაც ჯერ კიდევ აქვს იმედები ანტანტის დახმარებისა. საბჭოთა რესპუბლიკების მოსისხლე მტრები და მბურველე დამცველი მენშევიკური მთავრობისა, რაიმონდ პუანკარე ამ პოლიტიკური ნაბიჯით ბურგ შებრუნებულ სდგას მენშევიკების მიმართ. პოლიტიკური მნიშვნელობა ამ ნოტისა ქართული საზომით ის არის, რომ ევროპის დიპლომატიამ ფაქტიურად უკვე სცნო საბჭოთა საქართველოს მთავრობა და მასთან აპირებს მოლაპარაკებას. როგორც რუსეთის საკითხის დროს, ევროპა პირველ ხანებში არ სცნობდა „მოსკოვის ბანდიტებს“ და კერენსკის მთავრობით „აწყობდა“ რუსეთის საქმეებს, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქმნა ანგარიში გაეწია რეალურ ხინამდვილესათვის, გვერდი აეარა კერენსკისათვის და გენუაში პირდაპირი საუბარი გაემართა საბჭოთა რუსეთთან. ისე ჩვენს საკმთხშიაც ევროპა მზგავს პროცესების გავლას აპირებს. გენუის კონფერენციის შედეგები ევროპის ბურჟუაზიულმა პრესამ შეაფასა როგორც ფაქტიური ცნობა რუსეთის მთავრობისა ლოზანაში საბ. საქართველოს მოწვევა, როგორი სახითაც არ იქნება ეს და მონაწილეობის მიღება უდრის მისი მთავრობის ფაქტიურ ცნობას, რასაც აუცილებლად მოყვება იურიდიული ცნობაც.

ამ მეტად დიდი მნიშვნელობის ასეთ პოლიტიკურ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა საზოგადოებამაც და თავისი შესაფერისი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ხ. დეგაანი.

ᲞᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

იმპერიის მთავრობის თათბირი. მოხდა გერმანიის მთავრობის თათბირი პარტიათა წარმომადგენლობასთან, სავალიუტო კანონის შესახებ. თათბირი გახსნა კანცლერმა ვირტმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა ბერმანეთის ფინანსური მდგომარეობის სირთულე და მოუწოდა პარტიებს, რომ შეერთებულიყვნენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სიტყვები წარმოსთქვეს პარტიათა წარმომადგენლებმა. სხდომის დასასრულს პრესის წარმომადგენლებს ოფიციალურად აცნობა, რომ კანცლერის წინადადების თანახმად შექმნილია ორი კომისია, რომელთა შორის პირველი გაარჩევს კანონს ვალიუტის შესახებ, მეორე სხვა ზომებს ეკონომიური ხასიათისას.

სოციალისტების უკმაყოფილება გერმანეთში. სოციალისტურ წრეებში უკმაყოფილებაა ვალიუტის კანონის შესახებ მოლაპარაკების ირგვლივ. საკითხის ტენდენციური მხარის გარჩევამაც კი დაამტკიცა, რომ კოალიცია ფაქტიურად არ არსებობს. ბურჟუაზიული პარტიები მართავენ წინასწარ მოლაპარაკებას და მთლიანად გამოდიან სოციალისტების წინააღმდეგ. აგრეთვე ისინი თავიანთ პრესას აწოდებენ წინასწარ ინფორმაციას და საშუალებას აძლევენ სოციალისტთა წინააღმდეგ პოლემიკის გამართვისას. „ფორვერტსი“ დღეს უკვე ლაპარაკობს კოალიციის კრიზისის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ ასეთ კრიზისს უარყოფდა.

ანარი როლენის კორესპონდენცია. ანარი როლენი „ტამპში“ ათავსებს კორესპოდენციას რუსეთის საზოგადოებრივ აზრისას ახლო-აღმოსავლეთინ საკითხის ირგვლივ. ავტორი აღნიშნავს, რომ თვით მოწინააღმდეგენი საბჭოთა წყობილებისა, ინტელიგენტური მასაც იზიარებს, რომ ოსმალეთის გამარჯვება მოხდეს რუსეთის პოლიტიკის წარმატებით. ყველანი სიმპატიით ეპყრობა არსებულ რეჟიმს, საგარეო პოლიტიკა საბჭოების მისაღები ხდება ინტელიგენტური წრეებისათვის, მათი ოპოზიცია სუსტდება და შემარიგებელი ტენდენცია ძლიერდება. ავტორი აღნიშნავს, რომ ერთ საინტერესო მოვლენად უნდა ჩათვალოს ნაციონალიზმის გრძნობა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზედ გხვდება. ავტორის აზრით ეს არ არის შოვინისტური განწყობილება, არამედ არის სადი ეროვნული გრძნობა.

ᲐᲦᲛᲐᲡᲢᲐᲠᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

მოხსენება ფაშიზმის შესახებ

მოსკოვი 18 ნოემ. კომინტერნის კონგრესის დილის სხდომაზე 16 ნოემბერს ბოდრიგამ თავის მოხსენებაში ფაშიზმის შესახებ განაცხადა შემდეგი: „ფაშიზმი კაპიტალის შემოტევის კლასიური მაგალითია. ფაშიზმი დაარსებულია იტალიის მსოფლიო ომში მონაწილეობის მიმხრეთა მიერ. ფაშიზმი ეყრდნობა მსხვილ მემამულეებს, ბურჟუაზიას და მოხუცებულად გადაყვს თავის ხმარებაზე იმედ დაკარგული საშუალო კლასები. ფაშიზმს არა აქვს დადებითი პროგრამა. ის საარგებლობს ძველ ბურჟუაზიულ მეთოდებით. ბურჟუაზიულმა პარტიებმა ვერ შესძლეს მასიური ორგანიზაციების შექმნა, ეს მოახერხა ფაშიზმმა. ფაშისტებმა პირველი იერიში მიიტანეს სამიწედ მოქმედო ოლქებში და შემდეგ კი გადავიდეს სამეფოს ცენტრებში. მათი ბრძოლის მეთოდია: ველური ტერორი, მუშათა ბელ დების მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება და სხვ. ჩვენი პარტიული ორგანოები იტალიაში ჯერ ჯეროვანი გამოდიან არა ლეგალურად. ცენტ. პარტიული ორგანოს რედაქტორი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად კიბედან დახვიტეს ფაშისტებმა, გმირულად განაგრძობს პარტიულ მუშაობას. ფაშისტების იერიშებს ყოველ მხრივ მხარი დაუჭირა იტალიის მრეწველთა კავშირმა, ოფიცრობამ, აგრარიებმა, წვრილმა ბურჟუაზიამ და ნაწილობრივ ხალვეთ პროლეტარიატმაც. ფაშისტების პროფკავშირებს მხარს უჭერენ მრეწველები. საფრანგეთი ფულია დახმარებას უწევს ფაშიზმს. ფაშიზმი გვიჩვენებს, რომ რევოლიუციის პერიოდში ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატს არ შეუძლია კაპიტალიზმის დაცვა. ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მდგომარეობა იტალიაში გამოირკვა. არა თუ ბურჟუაზია, ტურატის რეფორმისტული ჯაფუფი აცკი მხარს უჭერს მუსოლინს. ამის და მიუხედავად ფაშიზმს არ შეუძლია იტალიის მძიმე ეკონომიური კრიზისის თავის დადწევა. ფაშოთე მასებს იმედები მაინ გაუცრუვდებათ, მაგრამ სანამ ძალაუფლება ფაშიზმის ხელშია, ბრძოლა ხელად მძიმე იქნება. ბურჟუაზიის მასიურ პარტიას საჭიროა დაუპირდაპირთ კომპარტიის მტკიცე დისციპლინა და ნათელი ტაქტიკა“.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატი ამბობს, რომ ჩეხიის ბურჟუაზია ძიისწრაფვის სამუშაო ხელფასის არა მარტო ხაწილობრივ შემცირებისაკენ, არამედ ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის ნაწილის სრულ ლიკვიდაციისაკენ. არაჩვეულებრივი ეკონომიური კრიზისი იწვევს დიდ სოციალურ უკმაყოფილებას. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და მუშათა მთავრობის ლოზუნგი საშუალებას მისცემს კომუნისტებს მიიმბრონ მუშათა უკმაყოფილო მასსები, რომელნიც ჯერ კიდევ ნაციონალ-სოციალისტების რიგებში იყოფებიან. თუ კომუნისტები მათ ვერ ძიიხიბავენ ეს უკმაყოფილო მასსები ჩეხო-სლოვაკიაში შეიძლება ფაშიზმის დასაყრდნობად გადაიქცეს. ჩვენი ძირითადი ამოცანაა ჩეხიის ფაშიზმის ნიადაგის მოსპობა. ახლად დაარსებული ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა არის ჩეხიის თანამედროვეობის უკანასკნელი რეზერვი. მის დამარცხების შემდეგ დაიწყება ბრძოლა ბურჟუაზიასთან, რომელიც ეყრდნობა ჩეხიის თეთრგვარდიელებს და ლეგიონერებს, სახელმწიფოში დიქტატურის ხოსპოვებლად. გამარჯვების ამოცანა დღეისთვის მოითხოვს კომპარტიის შეკავშირებას.“

ამერიკის დელეგატმა ჰელმანმა განაცხადა, რომ ამერიკაში არსებული ჯაფუფები „კლიუს კლანი“ წარმოადგენენ ფაშიზმის ხზგავეებას. პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის უმთავრესი მტრები არიან რომპერსის მომხრენი. პროფკავშირებში ფეხს იდგამს კონტრ-რევოლიუციონური მიმართულება. ამ პირობებში დისციპლინა და ცენტრალიზაცია არის ამერიკის კომპარტიის საორგანიზაციო აღმშენებლობის ძირითადი ამოცანა.

მოსკოვი 20 ნოემბერი. კომინტერნის

კონგრესის 17 ნოემბრის დილის სხდომაზე ებერლეინმა გააკეთა მოხსენება სამანდატო კომისიის სახელით. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კონგრესზე გამოცხადდა 392 დელეგატი და წარმოდგენილია 61 კომპარტია. გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, ჩეხო-სლოვაკიის, ინგლისის, ამერიკის, უკრაინის, იაპონიის სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის, ფინეთის, ისპანიის, რუმინიის, შვეიცარიის, ლატვიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ბელგიის ჩინეთის, ინდოეთის, ირლანდიის, აზერბეიჯანის, საქართველოსი, ლიტვის, ესტონეთის, დანიის, სპარსეთის, ანგორის ოსმალეთის, სტამბოლის ოსმალეთის, ავსტრალიის, არგენტინის, სამხრეთ-აფრიკის, იავის, კანადის, პორტუგალიის, ჩილლის, ურუგვაის, მექსიკის, სომხეთის, ბრაზილიის, ხივასი, ბუხარასი, მონგოლეთის, კორეიის, ისლანდიის, პალესტინის, ფიუმესი, ბელორუსიის, საბერძნეთის, ჰუნგრეთის, თურქესტანის, ყირიმის, მთიულეთის და ეგვიპტის. გარდა ამისა სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას ღებულობენ ამერიკის მუშათა პარტიის და ამერიკის ზანგთა ორგანიზაციის წარმომადგენელნი, ქალთა ინტერნაციონალურ სეკრეტარიატის წარმომადგენელი და საერთაშორისო დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი.

კომინტერნის აღმასკომის მოწვევით ჩამოვიდა იტალიის სოციალისტურ პარტიის ხუთი დელეგატი და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ოპოზიციის 3 წარმომადგენელი, კაშენი და ფროლიხი, რომელნიც მოწვეულნი არიან საფრანგეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, ჯერ არ ჩამოსულან.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ გრძელდება კამათი „კაპიტალის შემოტევის შესახებ“. ავსტრიის დელეგატი შტერნი ამბობს: „კაპიტალის შემოტევა არის ბურჟუაზიის უკანასკნელი ცდა კაპიტალისტური წესწყობილების გადასარჩენად. ევროპის ხელშეკრულების ძალით მსოფლიო ბურჟუაზიას სურს დახმარება გაუწიოს ავსტრიის ბურჟუაზიას. ავსტრიის მაგალითი ამტკიცებს, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას პატარა პარტიების მიერ“.

ინგლისის დელეგატი ვიბბი ამბობს, რომ კაპიტალის შემოტევას ინგლისში დახმარებას უწევს პროფმოძრაობის წინააღმდეგთა დაჯგუფი, ეს დამტკიცებულია მეზობლიანთა და მეგობრიანთა გაფიცვების დროს. ეხლა იწყება შემოტევა რკინისგზელთა წინააღმდეგ. საჭიროა კაპიტალის ერთიან ფრონტს დაუპირისპირთ საერთაშორისო მუშათა ფრონტი“.

გერმანიის დელეგაციის უმრავლესობის სახელით სენინი აცხადებს, რომ გერმანიის ოპოზიციის მუდმივი მერყეობა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში, ასუსტებს პარტიის ქმედებას.

საფრანგეთის დელეგატი როსმერი აუწყებს კონგრესს ორი მუშათა დეპუტატის რიმაცკის და კრუალიკოვსკის დაპატიმრების შესახებ, რომელნიც არჩეულნი იყვნენ პოლონეთის სეიმში, სეიმი ერთხმად იღებს საპროტესტო რეზოლიუციას, რომელშიაც შერცხვენილ ეგზეკვენტა პოლონეთის მთავრობას და გამართლებულია ადფრთოვანება პოლონეთის პროლეტარიატის გმირობის გამო.

რადეკი სიტყვაში ამბობს: „ლაპარაკი არა პროლეტარიატის კონტრშეტევის, არამედ პროლეტარულ პოზიციების დაცვის შესახებ. გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების მოძრაობა, საფრანგეთის პროლეტარიატის ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის არის მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლა. სანამ ჩვენ ვართ დასავლეთის პროლეტარიატის სუსტი ნაწილი, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატიასთან, რომელიც მუდამ დალატობს პროლეტარიატს, იქნებ ერთხელ მაინც ულალატოს ბურჟუაზიას. თუ მასების ზეგავლენით სოციალ-დემოკრატია კავშირს გასწყვეტს კოალიციონურ პოლიტიკასთან, ჩვენ მზად ვართ ვაწარმოვოთ მათთან საერთო ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. კომუნისტებს არ შეუძლიათ იზრუნონ მხოლოდ უდანაშაულობის შესახებ, მათ უნდა აწარმოონ ყოველდღიური მეშაობა.

მარჯვნიდან მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდნენ ყველა რევოლიუციონური ძალები. ახლა მომავლისათვის ჩვენ მიერ დასახული ბიზნები შეზღუდულია, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება მომავლის პერსპექტივები“.

რადეკის სიტყვა დაფარა მხურვალე აპლოდისმენტებმა.

— კონგრესის სხდომაზე 18 ნოემბერს გერმანიის დელეგატი ტალჰეიმერი გამოდის თანამომხსენებლად პროგრამის საკითხის შესახებ და ჩერდება მე 2 ინტერნაციონალის სრულ გადაგვარებაზე. კაუცკი ჩამოქვეითდა მერშტეინის თვალსაზრისამდე და აცხადებს, რომ იმპერიალიზმი გარდამავალი მოვლენაა კაპიტალიზმის ისტორიაში: ის შესაძლებლად სთვლის მისი მშვიდობიანი გზით განვითარებას და იმპერიალისტების მიერ შეიარაღებაზე უარის თქმას. ლიფ�მბურგმა დამტკიცა, რომ შეუძლებელია იმპერიალიზმის მშვიდობიანი კაპიტალიზმით შეცვლა. იმპერიალიზმისაგან კაცობრიობის თავის დაღწევისათვის ერთად ერთი საშუალებაა სოციალიზმი.

ტალჰეიმერი არ ეთანხმება ბუხარინს იმაში, რომ ნაწილობრივი მოთხოვნილებანი არ უნდა იქნეს შეტანილი პროგრამაში. გარდამავალი ხანა რევოლიუციის დაწყებამდე მეტად მნიშვნელოვანია.

პროგრამიდან ნაწილობრივ მოთხოვნილებათა გამორიცხვა პრინციპიალურად სავსებით დასაშვებია, საჭიროა მხოლოდ მისი თეორიული გაშუქება, უნდა გამოთქმულ იქნეს პრინციპიალური თვალსაზრისი წარმოებაზე კონტროლის დაწესების, საგადასახადო პოლიტიკის და სხვა საკითხების შესახებ.

მესამე მომხსენებელი პროგრამის საკითხების შესახებ, ბოლგარიის დელეგატი კაბაჩევი მხარს უჭერს მაქსიმუმი პროგრამის გამომუშავებას, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს პრინციპიალურ, ნაწილობრივ მოთხოვნილებებს, კაპიტალიზმის კრიზისი იმდენად დრმაა, რომ საჭიროა მუდმივად ხელთ გვქონდეს მაქსიმუმი პროგრამა. რ. კ. პ. პროგრამა შესაფერი საფუძველია კომინტერნის პროგრამის შესაშუშავებლად. ის მხოლოდ უნდა შეუფარდდეს ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების პირობებს.

შემდეგ სხდომაზე ლაზოვსკი გააკეთებს მოხსენებას პროფმოძრაობის საკითხის შესახებ.

მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის შესახებ ბუხარინმა განაცხადა: „მორე ინტერნაციონალი თეორიულად უძღური იყო. მარქსიზმის განვითარებაში შეიძლება განვსაზღვროთ სამი ფაზა: პირველი—მარქსის და ენგელსის რევოლიუციონური მარქსიზმი, მეორე—მე 2 ე ინტერნაციონალის ულბი მარქსიზმი, მესამე—ბოლშევიზმი. პროლეტარიატის მდგომარეობა ომის წინა წლებში გაუმჯობესდა კოლონიალურ ქვეყნების ექსპლოატაციის და ძარცვის მეოხებით. ეს მდგომარეობა საფუძვლად ჰქონდა „სოციალ-დემოკრატიულ „მარქსიზმს“, რომელმაც ქედი მოიხარა რეფორმიზმის წინაშე. მე-2-ე ინტერნაციონალი ეყრდნობოდა მხოლოდ კონტინენტალურ პროლეტარიატის მდგომარეობას. არ სცნობდა რა მარქსიზმის სახელმწიფოს თეორიას, მეორე ინტერნაციონალი უარს ამბობდა მარქსიზმის ძირითად იდეაზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის გარდამავალი საფეხური კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასასვლელად. ამ ეტაპად კაუცკის თეორია „ურყევობა“ პროლეტარიატის არისტოკრატიულ ნაწილს აძლევს, რომელიც ენგარიშს არ უწევს მის დანარჩენ ნაწილს. მეორე ინტერნაციონალის მარქსისტებისათვის რუსეთის რევოლიუციაა არ არის რევოლიუციაა. კაუცკი აცხადებს, რომ კაპიტალიზმი ომის დროს განმტკიცდა მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკოსებიც კი სცნობენ კაპიტალის გაკოტრებას. მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში ხედავს სახელმწიფო წყობილების უმაღლეს ფორმას. კაუცკი კოალიციონურ პოლიტიკასაც პროლეტარიატის დიქტატურად სთვლის. კაუცკის აზრით, ძალადობა არის მხოლოდ და მხოლოდ რეაქციის იარაღი. მონარქისტული პროფესორი დელბრუკიც კი აცხადებს, რომ ამ საკითხში არ არის უთანხმოება მისსა და კაუცკის შორის.

კომინტერნის ახალ პროგრამაში ხაზგასმულია წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობათა გამწვავება. მეორე პუნქტი ეხება იმპერიალიზმს. წინად კაპიტალისტური კონკურენცია სწარმოებდა ეკონომიური მეთოდებით, ფასების დაკლებით და ბოიკოტით, ამ ეტაპად ბრძოლა სწარმოებს თვით სახელმწიფოს მიერ, რომელიც არის ძლიერი ტრესტი და სამხედრო საშუალებებით.

პროგრამამ ხაზი უნდა გაუსვას, რომ განათლება არ უნდა იყოს გაბატონებულ კლასთა მონოპოლია. იმ საკითხის შესახებ, მწიფდება თუ არა სოციალიზმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, კომინტერნმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ სოციალიზმს შეუძლია ფეხი მოიკიდოს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ახალმა კონტინენტურმა პოლიტიკამ რეაქციონერ სოციალ-დემოკრატიის იმ მეფურნეობის, რომელიც იყოფება წვრილ მწარმოებელთა შორის, რომელიც იყოფება წვრილ მწარმოებელთა შორის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა აუცილებელია თითქმის ყველა ქვეყნებში. წინად რუსეთში სამხედრო მოსაზრებებით საჭირო იყო წვრილ წარმოებათა კონფისკაციის მოხდენა, თუმცა ეკონომიური მიზანშეწონილება არ მოითხოვდა ამას შესაძლებელია, რომ ამასვე მიმართონ სხვა ქვეყნებმაც, თუ წვრილი წარმოებანი გადაიქცევიან კონტრ-რევოლიუციის კერად. საჭიროა აღინიშნოს, რომ პროლეტარული სახელმწიფო იმით განსხვავდება სხვა სახელმწიფოებისაგან, რომ იმან არა მარტო თავდაცვა უნდა აწარმოოს, არამედ უნდა დაიცვას სხვა ქვეყნების მუშათა კლასიც და, თუ საჭიროება მოითხოვს, ომიც კი გამოაცხადოს.

დროებითი ხასიათის საკითხები, როგორც მაგალითად ლოზუნგები ერთიან მუშათა ფრონტის და მუშათა მთავრობის შესახებ, არ უნდა იქნას შეტანილი პროგრამაში, ვინაიდან შესაძლებელია ამან გამოიწვიოს უკან დახევა გადამწყვეტ მომენტში.

ეცხოველითი

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის მისალმება შორეულ-აღმოსავლეთის რევკომისადმი

მოსკოვი 20 ნოემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდუმმა გაუგზავნა შორეულ-აღმოსავლეთის რევკომის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა: „სრულიად-რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო ცნობად სახალხო კრების დადგენილება მისი დაშლისა და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა სიხარულით მოისმინა შორეულ-აღმოსავლეთის მშრომელთა სურვილი, რომლებმაც თავი დაახწიეს თეთრ გვარდიელთა ბატონობას. აცხადებს რა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის და უცხოეთის ჯარების მიერ დაკავებულ ზონას საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომი ამტკიცებს შორეულ-აღმოსავლეთში შემდგარ რევკომს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე კობოზევი და წევრები იანსონ-კუბბრევიჩი, კარნეევი, მატვეევ და პოსტიშევი“.

ახალი კაბინეტი გერმანიაში

მოსკოვი. 20 ნოემბერი. ებერტმა ახალი მთავრობის შედგენა მიანდო გამბურგ-ამერიკის სანაოსნო კომპანიის დირექტორს კუნოს, რომელიც ახლო სდგას სახალხო პარტიასთან. დადის ხმები გარეშე საქმეთა მინისტრად შტრეზემანის დანიშვნის შესახებ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების პროტესტისა სამინისტრო პორტფელების სახალხო პარტიის წევრებისათვის გადაცემის წინააღმდეგ.

კუნო შეუდგა მოლაპარაკებას პარტიების ხელმძღვანელებთან. ის ცდილობს შეადგინოს საქმიანი კაბინეტი რეიხსტაგში არსებულ პარტიულ ძალთა განწყობილების ნიადაგზე.

კუნოსთან მოლაპარაკებით გამოირკვა, რომ უკანასკნელი დიდ მნიშვნელობას აძლევს მთავრობაში სოციალ დემოკრატების მონაწილეობას.

მსოფლიო მეურნეობა რუსეთის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე

როდესაც ჩვენ გვსურს რუსეთის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე გადავხედოთ მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის მდგომარეობას,—ჩვენ შემდეგი სურათი გადაეშლება თვალ წინ.

კაპიტალიზმის დაუყოვნებლივი დანგრევის იმედები, რომელიც ჩვენ მსოფლიო ომის დასასრულს გაკქონდა, არ გამართლდნენ. ეს იმედები იმ მომენტში სავსებით საფუძვლიანები იყვნენ. კაპიტალიზმის დაშლამ მიიღო მეტად ფართო საზღვრები, და მხოლოდ კარგად დაკავშირებულ კომუნისტურ პარტიების უმონლობას მრავალ ქვეყნებში უნდა მიეწეროს, რომ კაპიტალიზმმა შეძლო დადუპვისაგან თავის დახსნა.

განვლილ 5 წლის განმავლობაში კაპიტალიზმი სოციალურად გამგრდა: შუა ევროპის ბურჟუაზიამ, რომელიც სავსებით დაიმნა დამარცხების შემდეგ, თანდათანობით ისევ დაიპყრო ძალაუფლება და მიუხედავათ იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყნებში შეიქნა ცოტად თუ ბევრათ ძლიერი კომპარტიები, ახლანდელ მომენტში ძალთა განწყობილება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ნაკლებად საკეთილდღეოა ამ უკანასკნელისთვის, ვიდრე ომის დასასრულს.

მაგრამ მეორე მხრით ნათელია, რომ კაპიტალიზმის სოციალურ კონსოლიდაციას არ შეეფერება მისი ეკონომიური კონსოლიდაცია. კრიზისი კაპიტალიზმისა გრძელდება და ის შემდგომში მდგომარეობს.

მსოფლიო წარმოება გვიჩვენებს შემდეგ. თუ კი ახლანდელი წარმოების მოცულობა არ ჩამოუვარდება ომის წინა დროის წარმოების მოცულობას, მაინც ის ყოველ შემთხვევაში არ იმყოფება გაზრდის სტადიაში, რომელიც დამახასიათებელია ნორმალური კაპიტალიზმისა. ყოველივე ეს ცხადად ჩანს შემდეგი ციფრებიდან:

მსოფლიო წარმოება (ურუხეთოდ)

სასოფლო მეურნეობა (მთლიან ორმაგ ცენტნერებში).	საშუალოდ 1909—13წ.	1914—18წ.	1919—22წ.
ხორბალი	799,0	790,8	800,3
ქერი	264,7	252,8	252,9
ჭვავი	213,6	167,1	191,2
შვრია	494,4	486,5	478,9
კართოფილი	1133,6	982,0	993,3
ბარხ. შაქარი	62,7	45,7	43,1
ლერწმის შაქ.	95,9	120,1	128,9
ყავა	11,6	12,1	9,7
კაკაო	2,3	3	3,9
ჩაი (მილ. კილოგრ.)	280,5	348,8	332,8
მატყლი	40,7	38,8	36,8

ნახშირი	1913	1918	1919	1920	1921
	მილიონ ტონებში				
ნავთი	478	1331	1158	1300	1100
რკინა	52	67	80	90	109
ფოლადი	78	—	—	61	40
სპილენძი	75	—	—	68	41
ტყვია	103	147	96	98	53
თუნუქი	133	114	124	122	—
ოქრო (ათას კილოგრ.)	1000	822	645	719	458
ვერცხლ. (ათას კილოგრ.)	692	568	549	542	468
ბამბეული (ათას ტ.)	6960	5600	5500	5020	4850
ბამბის ბენი	3330	5440	7140	5860	3440

მესაქონლეობა.

(რუსეთს ჩარიცხვით)

	მილიონებში 1911 წ.	1921 წ.
ცხენი	110,5	99,8
რქიანი საქონელი	482,8	510,0
ცხვარი	617,8	532,0
ღორი	260,2	209,9

სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს სტატისტიკური მასალები მთელი კაპიტალისტურ სახელმწიფოების საქონლო წარმოების მდგომარეობის გასარკვევად. (ზემო მოყვანილი ცნობები „ამოღებულია „აგრარულ სტატისტიკურ წლიურიდან“ და „ფრანკფურტერ ცეიტუნგიდან“).

ეს ცნობები მიგვანიშნებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საგნების წარმოება გაიზარდა, მსოფლიო მეურნეობა მთლიანად გაყინულ მდგომარეობაშია. ეს ცნობები მაინც არ არის საკმარისი კაპიტალიზმის კრიზისის ხასიათის. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ წინანდელ ეკონომიურ კავშირების დარღვევას. ომამდე მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა წონასწორობაში იმყოფებოდა (თუ კი არ მივიღებთ ხელოვნურობაში დროებით კრიზისებს). ამ კაპიტალისტური სისტემის ცენტრათ იყო შუა და დასავლეთ ევროპა, რომლებიც ჯერ ერთი როგორც „მსოფლიო ქარხნები“ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან იღებდნენ ნედლ მასალასა და საკვებს, რისთვისაც საქონელს აძლევდნენ და მეორე აკუმულიაციას უშვრებოდნენ ფასეულობათა დიდ მარაგს, რომლის პროგრესიული ნაწილი გარეთ გადადიოდა როგორც კაპიტალი, ინდუსტრიალური მხრივ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში.

ამ ექსპორტის ორგანიზაციისა და უფრო მოსაგებ ექსპლოატაციისათვის საჭირო იყო, რათა კაპიტალისტურ ქვეყნებს იქ პოლიტიკური ძალაუფლება მოეპოვებინათ, მსოფლიო ომმა იფეთქა კონკურენციის გამო კოლონიალური ქვეყნების მიმართ.

მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტური სისტემის წონასწორობა დაგვიანებული აღმოჩნდა. ეს ნაგრძელი შემდეგი მიმართულებით მოხდა:

1) რუსეთი, პროლეტალური რევოლიუციის გამო, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ორბიტის გარეშე დარჩა.

2) გერმანია აღარ იყო პირველხარისხოვანი კაპიტალისტური სახელმწიფო ომის შემდეგ და ფაქტიურად ანტანტის კაპიტალის კოლონიად იქცა. ასეთივე ბედი ეწვია ავსტრო უნგრეთს და აგრეთვე რეინის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს.

3) კაპიტალისტური მსოფლიოს სიმძიმის ცენტრი დასავლეთ ევროპიდან შეერთებულ შტატებში გადავიდა, რომელიც მსოფლიოს პირველხარისხოვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთ იქცა.

4) წინეთ ნედლ მასალების მწარმოებელი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის პროცესმა განვლილ პერიოდში დიდ შედეგებს მიაღწია, რადგან ომის დროს იქ ვერარ მიდიოდა დასავლეთ ევროპის ხაქონელი.

ამრიგად, შრომის განაწილება ამ უკანასკნელისა და აგრარულ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა შესაძლებელად შეცვლილი.

ყოველივე ამ ცვლილების შედეგად, მსოფლიო მეურნეობამ დაკარგა წონასწორობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ოქროს ვალუტის კრიზისში, რომელიც ომამდი თითქოს სიმბოლო იყო კაპიტალისტური მეურნეობის მთლიანობისა. კაპიტალიზმმა დაკარგა თავისი ფასეულობის საზომი. ვალუტის კრიზისი ერთი მეორეს მისდევს და აწვებიან დაზარალებულ ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას.

როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კაპიტალიზმი კრიზისს განიცდისო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვფლობთ მის მსოფლიო მაშტაბით დანგრევას. პირიქით, კრიზისი იღებს ფორმას გაგრძელებულ ისტორიულ პროცესისას. მის დროს შესაძლებელი არის ისეთი სიტუაციები, რომლებიც ფართას შეასხამენ ბურჟუაზიასა და სოციალ გამუდმევლებს კაპიტალიზმის განჯანმრთელობის იმედებით. და მართლაც არის ისეთი ტერიტორიები, სადაც კაპიტალიზმს აქვს სიცოცხლის უნარი და ფონიერი არ იქნებოდა, რომ ამ ფაქტის წინაშე თვალები დაეხუჭა.

იქნება მეტად თავისებური მსოფლიო მდგომარეობა. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ინგლისის კოლონიებში და აზიის ნომინალურად დამოუკიდებელ ქვეყნებში (ჩინეთი, სპარსეთი, ოსმალეთი და სხ.), კაპიტალიზმი პროგრესიულ განვითარების სტადიაში იმყოფება, ამავე დროს სხვა ქვეყნებში და ყველაზე უფრო შეერთ. შტატებში, იაპონიაში და ინგლისში კაპიტალიზმმა მიაღწია განვითარების უმაღლეს ხარისხს; კაპიტალიზმის დაშლამ კონტინენტალურ ევროპაში მიიღო მეტად ფართო საზღვრები. რაც შეეხება რუსეთს, ის კი ბურჟუაზიულ ქვეყნების წრეს გარეთ რჩება.

შუა ევროპის ქვეყნებში, უმთავრესად გერმანიისა, ავსტრიისა და ჰუნგრეთში კაპიტალიზმის კრიზისმა ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ ძალზე შეცვლილებულ მოხმარებაც კი აქარბებს წარმოებას; ასე რომ ხდება არა აკუმულიაცია კაპიტალისა, არამედ პირიქით, მისი დასუსტება და ამასთან პროგრესიული გადაგვარება მცხოვრებთა (სტატისტიკური ცნობებით გერმანელი მუშა ახლა ხმარობს ომის წინ ხმარებული პურისა და ბორცის ნახევრს). ამ ქვეყნებში ჩვენ მოწმე ვხდებით კაპიტალისტური მეურნეობის პროგრესიული ნგრევისა და დაცემის.

ბურჟუაზია დაბლა სწევს პროლეტარიატის რეალურ სამუშაო ხელფასს, და ეს კი უკანასკნელის მხრით წინააღმდეგობის იწვევს. მეორე მხრით, მართველი კლასები გაცხარებულ ბრძოლაში არიან მატერიალურ ფასეულობათა განაწილებისათვის. ყოველივე ამის შედეგი არის მუდმივი კრიზისი, რომელიც

ახალი ამბები

— ამხ. **კამოს სახელობის** ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად ქალაქის აღმსკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოსირულება: 11 ნოემბერს 1922 წ. სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოების ცენტრალურ კავშირის თანამშრომლებისაგან სამი მილიონი 40 ათასი მან

საყურადღებოდ საალმწერო რაიონების ხელმძღვანელთა, კონტროლიორების და აღმწერლების. 21 ნოემბერს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება საერთო კრება ქალაქის ყველა აღწერაში მომუშავეთა.

ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ დროზე, სამუშაოზე არ დაიშვება. 22 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მიეცემა სათანადო ინსტრუქციები კონტროლიორებს და აღმწერლებს თავიანთ რაიონების მიხედვით (მისამართი სარაიონო ბიუროების და სიები რაიონზე მომუშავეთა მიწერილთ გამოცხადებული იქნება ცალკე).

30 ნოემბერს დილის 8 საათიდან სარაიონო ხელმძღვანელები ანაწილებენ მომუშავეებს კვარტალების მიხედვით და აძლევენ მათ ყველა საჭირო მასალას, სახელდობრ: კვარტალის გეგმასა თითო აღმწერელს 400 ეკზემპლ. საპირადო ფურცელს, საბინაო ფურცლებს (ხუთ საპირადო ფურცელზე ერთ საბინაო ფურცელს). სახლკარის ფურცლებს (ოც საბინაო ფურცელზე ერთ სახლკარის ფურცელს) და ინსტრუქციებს. აღმწერლები ყოველ დილით მუშაობის დაწყებამდე უნდა გამოცხადდენ ხელმძღვანელთან სარეგისტრაციოდ, საალმწერო შტატის ინსტრუქციებთან გაცნობა გრძელდება 27 ნოემბრამდე ჩარიცხვით.

ინსტრუქციების მისაღებ დღეს ნიშნავს სარაიონო ხელმძღვანელი. 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საერთო კრება ყველა რაიონების ხელმძღვანელთა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (ბროსეს ქ. 4 ნომერი). 29 ნოემბერს დანიშნულია შეერთებული კრება ხელმძღვანელების, კონტროლიორების და აღმწერლების (კრების ადგილი და საათი გამოცხადებული იქნება ცალკე).

პროვინციის ცხოვრება

ჭიათურა. დანგრეულთა აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობს. შესდგა სპეციალური კომისია ზვავის გაწმენდისათვის, რომელშიაც შედის წარმომადგენელი უმაღლეს სამეურნეო საბჭოსი, რკინის გზის და მარგანეცის მრეწველობის. კომისია უკვე მივიდა ადგილზე. მარგანეცის მრეწველებმა შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ მათ მიეცეს ხუთ მილიარდიანი სესხი მრეწველობის აღდგენისათვის.

აჭარა. სამეურნეო საბჭომ დაადგინა, რომ სათბობი მასალა გაყიდოს მხოლოდ თავისი საწყობების საშუალებით. სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 15 მილიონი მანეთი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესამოწმებლად.

ხიდეების შეკეთება. შესდგა ხარჯთ-აღრიცხვა ხიდეების შეკეთებისათვის. შესაკეთებელია ხიდე ბათომ-ახალციხის გზაზე, რომელიც თხოულობს 2.131 მანეთს ოქროთი და ჩაქვის ხიდე, რომელიც თხოულობს 19,098 მანეთს ოქროთი, სამეურნეო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კომისართა საბჭოს წინაშე, რომ დახმარება გაუწიოს მას ხიდეების შეკეთების საქმეში, რადგან სამეურნეო საბჭოს დამოუკიდებლად არ ძალუძს მთელი ხარჯების დაფარვა.

სამხატვრო ქრონიკა

ფრიდრიხ ნიცშეს საღამო. სამშაბათს, ნოემბრის 28-ს სახელმწიფო კონსერვატორიაში საღამოს 8 საათზე ჟურნალ „ილიონის" რედაქცია გამართავს ფრიდრიხ ნიცშეს საღამოს. საღამოს თავმჯდომარეობს პროფ. დ. უზნაძე. 1) კ. გამსახურდია, ფრიდრიხ ნიცშე—რელიგიოზური გენია. 2) ირაკლი ტატიშვილი.—ფრიდრიხ ნიცშე. 3) ფრიდრიხ ნიცშეს ბიოგრაფია. 4) ადგილები ზარატუსტრიდან: ს. ფაშალიშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ტ. გრანელი, 5) ნიცშეს ლექსებს წაიკითხავენ: ს. ფაშალიშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ტ. გრანელი.

დაწვრილებით ფეიშებში.

პარტიაში

ხუთშაბათს 23 ნოემბერს საღამოს 7 საათზე **საქ.** მემ. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედერალისტ **სტუდენტთა საერთო კრება.**

მოხსენებას წაიკითხავს მთავარი კომიტეტის წევრი ამხ. სიმონ ხუნდაძე შემდეგ თემაზე „საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა".

განსახილველია სასწრაფო საკითხები. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. თანახმად წესდებისა ვინც სამჯერ დააკლდება კრებას, გამორიცხულ იქნება ორგანიზაციიდან.

სტუდენტთა კომიტეტი.

პარტიული ცხოვრება

სამოქალაქო პანაშვიდი გიორგი დეკანოზიშვილზე.

კვირას, ნოემბრის 19-ს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენი პარტიის ერთ თვალსაჩინო დამფარველის დ. მგსვეურის, საზოგადო მოღვაწის ამხ. გიორგი დეკანოზიშვილის გარდაცვალების 12 წლის თავის აღსანიშნავად. ამავე დღეს გამოშვებულ იქმნა ჩვენი გაზეთის საგანგებო ნომერი. ცენტრალურ კლუბის დარბაზი სავსე იყო დამსწრეებით, ძმათავრესად ახალგაზრდობით: სტუდენტობა, მუშები და სხ. მ. ფხიდავად ერთი შეცდომისა, რომელიც რედაქციას მოუვიდა გაზეთში განცხადების გამოქვეყნების დროს, სახელდობრ ის, რომ პანაშვიდის დაწყების დრო აღნიშნული არ იყო. დარბაზის მარცხენა მხარეს ამაღლებულ ადგილას წითლად მოწყობილ ჩარჩოში მოთავსებული იყო გიორგი დეკანოზიშვილის სურათი.

ამხ. თედო ლონტის სიტყვით იწყება პანაშვიდი. ამხ. თედო სავსებით და მასთანავე სხარტად შეეხო იმ მიმართულებას, რომელსაც დაუკავშირა თავისი მუშაობა გიორგიმ, სახელდობრ სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის მიმართულებას და აღნიშნა რა მისი მნიშვნელობა საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობაში, ნათლად დასურათა გიორგის პიროვნება, როგორც რევოლუციონერის.

შემდეგ სიტყვაში ამხ. სოსო ასლანიშვილმა დაწვრილებით გადუშალა დამსწრე საზოგადოებას გიორგი დეკანოზიშვილის ყოფა ცხოვრება, მისი სტუდენტობის პერიოდი, შემდეგ პერიოდი იმ მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდა როგორც სპეციალისტი ინჟინერი, შეეხო უმთავრესად მის პოლიტიკურ მოღვაწეობას,—პარიზის ჟურნალ „საქართველო"-ზე მუშაობას და საერთოდ მის შრომას ჩვენი პარტიის დაარსების ხანაში.

ამხ. სიმონ ხუნდაძემ გადაშალა სურათი ჩვენი პარტიის გამოსვლის პირველ ხანებში და დაახასიათა მაშინდელი საზოგადოებრივი ჯაფები შეეხო გიორგის მოღვაწეობისა განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც გაფაციცებული მუშაობა სწარმოებდა 1904 წელში ქართველ რევოლიუციონერთა ყრილობაზე, აღნუსხა ის პოზიცია, რომელიც ეჭირათ მაშინ არჩილ ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს.

ჟენევაში მომხდარ ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმებიდან ამხ. სიმონმა მოიყვანა ის ადგილები, რომელიც ნათლად გვაჩვენებდნენ ჩვენი პარტიის პოზიციას დემოკრატიზმის, პარლამენტარიზმის, კლასთა ბრძოლისა და სოციალური რევოლიუციის შესახებ, პოზიციას, რომელსაც დღეს მენშევიკებთან მიკედლებით ულალატეს ჩვენ პარტიის მემარჯვენე ელემენტებმა. ყველას ნათლად წარმოგვიდგა არჩილის და გიორგის პოზიცია ჟენევის კონფერენციაზე განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში და მისი კავშირი სოციალისტურ რევოლიუციასთან და ანალოგიის გატარებით დღევანდელ ჩვენ პოზიციასთან. ჩვენ სავსებით გამართლებული ვართ, რადესაც ვითვალისწინებთ საქართველოში მემარცხენე სოც.- ფედერალისტთა პარტიის მოდვაწეობას. ძირითადი პრინციპები ჩვენი პოლიტიკისა გვიანდერძა არჩილმა და გიორგიმ.

ამხ. სერგო ამადლობელმა გაატარა პარალელი 1904 წ. პარიზში გამომავალ „საქართველოს" და 1921 წ. იმავე პარიზში მენშევიკების მიერ გამოცემულ „თავისუფალ საქართველოს" შორის. და დაასაბუთა პირველის პროგრესიულ და რევოლიუციონური ხასიათი, ხოლო მეორის რეგრესიული და რეაქციონური.

ახალგაზრდათა კავშირის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ბესო ქლენტი, რომელიც აღტაცებულ, მხურვალე სიტყვაში ასაბუთებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ჩვენს პარტიას ქართველ მშრომელ ხალხის ცხოვრებაში და საერთოდ თანამედროვე რევოლიუციის მსვლელობაში.

ამით თავდება პანაშვიდი და 2 ნახ. საათზე იშლება საზოგადოებაც.

ეკონომიური ცხოვრება

ნათესის რაოდენობა საქართველოს რესპუბლიკაში 1922 წ.

ცენტრალურ სამმართველოს ცნობების მიხედვით ნათესი მინდვრების სივრცე ამ წელს უდრის 566. 000 დესეტინას. ომის დროსთან შედარებით გადიდებულია ნათესის სივრცე 18 პროცენტით. ეს გაფართოვება აიხსნება სახელმწიფოსი და სხვა დაწესებულებათა დახმარებით, რომლებიც ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ თესვას. ზოგიერთ მაზრებში, როგორც მაგ. თიანეთისა და რაჭის, დათესილია მაღლობი ადგილებიც, სადაც პური სიცივის გამო მწიფდება შემოდგომის დასასრულს.

აღმოსავლეთ საქართველოში ნათესის საერთო სივრცე უდრის 263 000. ეტყობა ზრდა სიმინდის ნათესს. რადგან იგი უფრო გამძლეა სტიქიური მოვლენების, რომელიც ხშირად აზარალებს ხოლმე პურს.

დასავლეთ საქართველოში ნათესის 303, 000 დესიატინიდან სიმინდს უჭირავს 95 პროცენტი. ამ წელს ნათესი მიწის სივრცე დასავლეთ საქართველოში გადიდებულია ომის პერიოდთან შედარებით 41,000 დესიატინით. [illegible] ტით. სივრცის გადიდება მოხდა ტყეების ყანებად ქცევისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში ნათესის სივრცე შემცირდა 41, 500 დეს. ე. ი. 13 პროცენტით. ამ წლის ნათესის სივრცე უდრის 1920 წლის ნათესის სივრცეს, რაც აიხსნება სამხრეთ ოსეთში ნათესის სიმცირით.

თათბირი თეატრის შესახებ

(გაგრძელება *)

მამუდაშვილი უპასუხებს ზოგიერთ საკითხებზე მ. ქორელს და აღნიშნავს, რომ ქართულ დრამაში არ არის ადმინისტრატიული ხელი, რომელსაც შეეძლოს მკაცრი დისციპლინის დამყარება თეატრში. ეს კი საჭირო არის თუ თეატრს უნდა სიცოცხლე. ქართული სცენის ადორძინება შესაძლებელია, მე ამის იმედი მაქვს, ამისათვის ძალები არსებობს. მხოლოდ საჭიროა რკინის დისციპლინა, ეს კი არ არის. უნდა გამოვტყდეს, რომ ამაში ჩვენც ვართ დამნაშავენი. ჩვენ, მართლაც, მთელი ყურადღება ოპერას მივაქციეთ მაშინ, როდესაც ჩვენ დრამა უნდა მიგვეღო როგორც ცენტრი და ამისთვის უნდა მიგვექცია მთელი ყურადღება. დროზე რომ გვიქნია ეს, მაშინ დარწმუნებული ვარ, არ ექნებოდა ადგილი იმ მდგომარეობას, რომელსაც ახლა ვამჩნევთ.

ალ. იმედაშვილი. ლაპარაკობს მსახიობთა კავშირის სახელით და აღნიშნავს, რომ ქართული თეატრი პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. დღეს ქართველი მსახიობი ბზად არის ყველაფერი ჩაიდინოს, ოდონდ საქმე გამოკეთდეს. რაც შეეხება სეზონის მოუმზადებლობას უნდა გენვაცხადო, ამბობს იგი, რომ დრო მომზადებისა იყო, რომ სათეატრო მდგომნი თავის ადგილზე ყოფილიყვნენ. საჭირო იყო მეტი ინიციატივა და მუშაობა. მოსაზრება რომ შეწყდეს სეზონი მე მიუღებლად მიმაჩნია. ეს იქნებოდა ჩვენი გაკოტრება. სეზონი უნდა გაგრძელდეს ყოველ მიზეზის გარეშე. ამოვირჩიოთ თუ გინდ ორი პიესა და ისინი ვდგათ ზედიზედ. დღე ნურავინ ნუ მოვა თეატრში; წარმოდგენები მაინც უნდა განვაგრძოთ. ამ ნაბიჯის განხორციელებაში ავარჩიოთ ახალი პიესები და ვამზადოთ ისინი.

პაოლო იაშვილი. მე არ მაქვს იმედი, რომ ქართული თეატრის ადორძინება დაიწყოს ყოფილ პითოევის სახლიდან. აქ ახალი არაფერი არ დაიწყება. რომ ავიდოთ სხვა ქვეყნების ცნობილ თეატრების ადორძინება, შევამჩნევთ ერთ რამეს: ადორძინება მათი დამოკიდებული იყო ცალკე პიროვნებათა ინიციატივაზე და მკაცრ ნებაზე. ასე ადორძინდა სამხატვრო თეატრი ანტუანის, ახალი თეატრი და სხვა. ასე უნდა მოხდეს ჩვენშიაც. ორატორს საჭიროდ მიაჩნია შექმნა ახალი პატარა თეატრის სულ მაქსიმუმ 500 კაცისათვის. ამის მოწყობა და ხელმძღვანელობა დაევალოს კონსტ. მარჯანიშვილს. უკანასკნელი, რომელიც სასწაულს ახდენს რუსეთიდან გადმოხვეწილ არტისტების საშუალებით, რასაკვირველია მეტ მიღწევას მიიღებს ქართველი არტისტების საშუალებით, რომლებსაც მეტი ტალანტი აქვთ, მეტი ტემპერამენტიც და ხალისიც მუშაობის. რა თქმა უნდა დისციპლინა თეატრისათვის აუცილებელია, მაგრამ ეს დისციპლინა ვერ შეიქმნა დღევანდელ თეატრში, ის შეიქმნება მარჯანიშვილის წყალობით ახალ თეატრში. მე ვამბობ დღევანდელმა თეატრმა უნდა განაგრძოს მუშაობა. ამას მოითხოვს დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი და განსაკუთრებით ტფილისის, რომელიც უცხო ელემენტით არის გატენილი. მაგრამ პარალელურად უნდა დაიწყოს მუშაობა ახალი თეატრის შექმნისათვისაც.

შემდეგ თათბირში მონაწილეობას იღებენ კონსტ. მარჯანიშვილი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია მთელი ქართული ძალების კონცენტრაცია ქართულ თეატრში და რომელიც აღნიშნავს იმ უყურადღებობას, რომელსაც იჩენენ ქართულ თეატრის მიმართ. აღნიშნავს აგრეთვე უდისციპლინობას, თეატრის უსახსრობას და სხვა მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ მის განვითარებას მაშინ, როდესაც, ამბობს ორატორი, ქართულ თეატრს უდიდესი მომავალი აქვს. ქართულ თეატრში უნდა იქნეს გადმოყვანილი ქართული ოპერა, აკადემიური გუნდი, ყველაფერი ქართული და აქ უნდა ჩაეყაროს საფუძველი ქართულ თეატრის განახლებას. რა თქმა უნდა, ათავებს ორატორი, ამავე დროს პარალელურად უნდა ხდებოდეს ახალი თეატრის ორგანიზაციაც. ამისათვის ძალები საკმაოა, საკმაოა აგრეთვე ხალისიც. მხოლოდ საჭიროა ინიციატივა და მტკიცე გადაწყვეტილება.

შემდეგ სიტყვას ამბობს **ან. ბუმბაძე,** რომელიც თეატრის უნუგეშო მდგომარეობის მიზეზს ხედავს საერთო ეროვნულ სიბეჩავეში და უუფლებობაში.

ორატორებს რთული სიტყვით უპასუხებს აკადემიური თეატრის მმართველი **ალ. წუწუნავა.** დასასრულს თავმჯდომარე უკეთებს რეზიუმეს მთელ სხდომას და წინადადებას აძლევს კრებას მიიღოს ქვემოდ მოყვანილი დადგენილებები, რომელიც ეცნობება კომისარს და მისი დასტურით გატარდება ცხოვრებაში.

დასასრულ თათბირის მიერ მიღებული იქმნა დადგენილებანი:

1. ქართული თეატრის სეზონი გაგრძელდეს. ერთი თვის განმავლობაში იდგმებოდეს მხოლოდ მზა პიესა. თვისუფალი დრო კი მოხმარდეს ახალ დადგმების მზადებას. სია ახალ დადგმების წინასწარ შეეუშვებულ იქმნეს.

2. ქართულ თეატრში უნდა მოეწყოს რეჟისორთა კოლეგია.

3. გაფართოებულ იქნეს დამოკიდებულება და ურთიერთობა რეჟისორთა კოლეგიისა და აკადემიურ თეატრების მმართველობის შორის.

4. დაევალოს მმართველობას ნათლად გამოარკვიოს ქართული თეატრის თანამდებობის პირთა ფუნქციები.

5. ხელოვანთა კომიტეტისა და მწერლობის ორივე კავშირის დახმარებით დაარსდეს სარეპერტუარო კომისია და დაევალოს მას თეატრებისათვის შესაფერისი რეპერტუარის მიწოდება.

6. დაარსდეს ქართულ თეატრში სალიტერატურო ნაწილი.

7. მიემართოს ახალგაზრდა მხატვრებს და მუსიკოსებს მოწოდებით აღმოუჩინონ დახმარება ქართულ თეატრს.

8. ეთხოვოს ლიტერატურის წარმომადგენლებს დაიწყონ კამპანია ქართული თეატრის შესახებ და განუმარტონ საზოგადოებას შექმნილი მდგომარეობა.

9. დაევალოს აკადემიურ თეატრების მმართველობას მიიქციოს მეტი ყურადღება ქართულ დრამას.

10. ეთხოვოს მთავრობას რათა მან დაამტკიცოს ქართულ თეატრისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

11. თათბირის სახელით დაიწეროს მიმართვა ქართველ საზოგადოების და მთავრობის მიმართ, რათა მათ მიიქციონ შესაფერისი ყურადღება ქართულ თეატრს.

დამხმარე

*) იხ. „ტრიბუნა" № 346.

ქალაქების აღწერის გარშემო

სრულიად საქართველოს ქალაქთა აღწერისათვის

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დაკისრებული ჰქონდა საქართველოს იმ სამოსახლო პუნქტების შედგენა და გამოქვეყნება, რომელზედაც უნდა გავრცელდეს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა. ეს პუნქტები სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მიერ შედგენილია და დამტკიცებულია ცენტრ. აღმა-

---

გამოხატულებას პოულობს. მთავრობათა სრულ ცვლაში.

თავის თავად ცხადია, რომ ამ მოკლე წერილში საერთო ხაზებით არის მხოლოდ აღნიშნული ეს პროცესი. სრული სურათი მიეცემოდა ბროშურაში „კაპიტალიზმის კრიზისი", რომელიც მოკლე ხანში გამოვა.

რით დამთავრდება ეს კრიზისი? მისი ადორძინებით თუ დანგრევით რევოლიუციონურ ნიადაგზე. ეს საკითხი, რომელიც განსაკუთრებით ინტერესებს ჩვენ რუს ამხანაგებს, რომლებიც რუსეთის იზოლიაციის გამო იძულებული გახდნენ მიემართნათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკისათვის.

პასუხი ნათელია. ამ კრიზისის განვითარება ამა თუ იმ მხარეს ევროპის პროლეტარიატზე დამოკიდებული. ობიექტიური პირობები პროლეტარული რევოლიუციისათვის, ევროპის კანტინენტზე მაინც, უკვე არსებობს. შედეგები დამოკიდებულია პროლეტარიატის შეტევის ძალაზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

თუ ეს შეტევა არ დამთავრდა გამარჯვებით, მაშინ ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ ახალი ომების პერიოდის შემდეგ შეიქმნება ახალი ეკონომიური წონასწორობა; მთელი ევროპა გადიქცევა ინგლის-საქსურ მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიად, რომელიც იბატონებს მსოფლიოზე ერთად ერთი, ან და შესაძლებელია ახალ მსოფლიო იმპერია ჩინეთის სახელმწიფოსთან ერთად.

არ შევჩერდებით მასზე, თუ რას ნიშნავს ასეთი განვითარება რუსეთისათვის, მაგრამ ერთი კი ცხადია: პროლეტარული რევოლიუციის განვითარება გვიკარნახებს სასიცოცხლო ინტერესები არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპის პროლეტარიატისა.

„პრავდა"

ე. ვარგა.

სრულ. კომიტეტის მიერ. ეს პუნ-ტები შემდეგია:

აღმოსავლეთ საქართველოში: 1. ტფილისი, 2. ახალციხე-ქალაქი, 3. ახალციხე, 4. ლიუქსემბურგი, 5. გორი, 6. ხაშური, 7. სურამი, 8. ბორჯომი, 9. დუშეთი, 10. სიღნაღი, 11. ველისციხე, 12. ლაგოდეხი, 13. თელავი, 14. თიანეთი.

დასავლეთ საქართველოში: 15. ზუგდიდი, 16. ანაკლია, 17. ქუთაისი, 18. ხონი, 19. სამტრედია, 20. ტყიბული, 21. ცაგერი, 22. ოზურგეთი, 23. ლანჩხუთი, 24. ონი, 25. ახალ-სენაკი, 26. ფოთი, 27. ყულევი, 28. ზესტაფონი, 29. ჭიათურა.

აჭარაში: 30. ბათომი.

აფხაზეთი: 31. სოხუმი, 32. გუდაუთი, 33. ოჩემჩირე, 34. გაგრი, 35. გალი.

სამხრეთ-ოსეთში: 36. ცხინვალი.

ამ რიცხვიდან თავის ხარჯზე იწერებიან, შემდეგი ქალაქები: 1. ტფილისი, 2. ველისციხე, 3. ლაგოდეხი, 4. ქუთაისი, 5. ფოთი, 6. ბათომი, 7. სოხუმი, დანარჩენი 29 ქალაქი აღიწერება მთავრობის ხარჯზე.

—

წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის ფურცელზედ შემდეგი შენიშვნა: გაზეთ „ტრიბუნას“ მე-346 ნომრის ქრონიკაში მოთავსებულია ყალბი ინფორმაცია სრულიად საქართველოს ქალაქთა მომავალი აღწერის შესახებ. ამ ცნობით თითქოს ვისმე განეზრახოს ხსენებულ აღწერის დღის გადადება 30 ნოემბრის იქით იმ მიზეზით, რომ ვითომ პროვინციის ქალაქები არ იყვნენ მზად აღწერის მოსახდენად ამ დღისთვის. ამავე ცნობით, თითქოს ამ გარემოების გამოეწვიოს ტფილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილება რომ აღწერის დღეთ დანიშნული იყოს 30 ნოემბერი.

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, რომელსაც დავალებული აქვს აღწერის ხელმძღვანელობა და რომელიც ერთად ერთი უფლება მოსილი ორგანოა აღწერის საკითხების გადაწყვეტაში, აცხადებს რომ არავითარ ამის მზგავს მოვლენას არ ჰქონია ადგილი. 30 ნოემბერი დანიშნულია აღწერის დღეთ სამმართველოს მიერ და სხვა რომელიმე ორგანო არ არის უფლება მოსილი შესცვალოს იგი. გარდა ამისა არ არის მართალი ის ცნობა თითქოს სამაზრო ქალაქები არ იყვნენ მზად აღწერისათვის.

აღწერის საქმის მდგომარეობა მაზრებში ყველაზედ უკეთესად იცის სამმართველომ და ასეთი ცნობის გამოქვეყნებას არავითარი საფუძველი არ აქვს, თუ არა პროვოკაციული მიზანი.

სამმართველოს არ შეუძლიან მწუხარება არ გამოსთქვას, რომ იმის მაგიერ რომ ხელი შეგვიწყონ და დაგვეხმარონ ისეთი დიდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებაში, როგორიც არის ქალაქთა მოსახლეობის მომავალი აღწერა, ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირებს, ასეთი გამოსვლებით, როგორც არის ზემოაღნიშნული ცნობა, დეზორგანიზაცია შეაქვთ ჩვენი ორგანოების შუამობაში და ხელს გვიშლიან აღწერის სასურველად ჩატარებაში.

ამასთან ერთად, რათა შემდეგში არ განმეორდეს მზგავსი მოვლენა რომელსაც შეუძლიან შეცდომაში შეიყვანოს ადგილობრივ საალწერო ორგანოები და ზიანი მიაყენოს აღწერის საქმეს, გთხოვთ შემდეგისათვის ყოველგვარი ცნობა მომავალ საქალაქო აღწერის შესახებ მოთავსებული იყოს თქვენი გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადასტურებული იქნება სამმართველოს საინფორმაციო განყოფილების ან ტფილისის საქალაქო საალწერო ბიუროს მიერ.

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი **გ. გრიგორიანი.**

საინსტრ.-საინფორმაციო განყოფილების გამგე **მ. უოჩიაშვილი**

თეატრი და ხელოვნება

ცოვიანოვის კონცერტი

მეორე კონსერვატორიამ, რომელმაც თავის მოღვაწეობის საგნად პედაგოგიური მხარის გარდა კონცერტების გამართვაც დაისახა, თავის კონცერტთა სეზონი გახსნა violon cello-abend პროფ. ცოვიანოვისა. მე მქონდა შემთხვევა გაზეთ „ტრიბუნა“-ში გამომეთქვა ჩემი აზრი მოქ. ცოვიანოვის ნიჭზე, ასე რომ ამ შემთხვევაში ამ მხარეს არ შევეხები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი კონცერტი განსაკუთრებული სერიოზული და ფართო იყო. შეკრებილი საზოგადოება უურადღებით ისმენდა კონცერტს თავიდან ბოლოსადის.

ეს იყო ნამდვილი წმინდა ხელოვნება, სერიოზული მუსიკოსი, დიდებული ინსტრუმენტი, პროგრამა. ყოველივე ეს წინდაწინვე უზრუნველყოფდა კონცერტისადმი ყურადღებას. მოქ. ცოვიანოვის კონცერტის პროგრამა შესდგებოდა განსაკუთრებით კლასიკთა ნაწარმოებებიდან ისტორიული განვითარებით. შესრულებულ იქნა ჰაიდნის (1732—1809) conzert D dur, გენდელის (1685 1759) კონცერტი J moll ეკლეს (1670-1742) სონატა J-mole და მთელი რიგი ბახის, კორელის, ლეკატლას, ტარტინის, კუდაუს, პერგოლეზის, გლიუკის და სხვა ნაწარმოებნი. მართლაც რომ მხატვრული პროგრამა იყო, მგონი პირველი ტფილისში ისტორიული განვითარების ასეთი დაცვით. მე მიპირს აღვნიშნოთ თუ რომელი შესრულდა უკეთესად: დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობილმა Airde Bach, Largo ეკლის სონატიდან, ლეკატელის - სიციელიანამ, ტარტინის Adagio მ. რა ლრმა ტონი აქვს დამკვრელს რა ძვირფასი ინსტრუმენტი! დარბაზში სიჩუმე იყო, რასაც ხელს უწყობდა ნახევრად დაბნელებული დარბაზი, განათებული იყო მხოლოდ ესტრადა. მუსიკალურად აძლევდა აკომპანიმენტს დამკვრელის მეუღლე. საკურველია ასეთი კონცერტების ხშირი გამართვა.

ბ. ბებუთოვი.

—

სახალხო სახლი.

ვინც ზუბალაშვილის სახელოსნის სახალხო სახლის ისტორიას ოდნავ მაინც იცნობს, მას არ შეუძლია არ ღიმშნოს ამ სახალხო თეატრის ულრესად სიმპატიური და დიდი მნიშვნელობა.

უკანასკნელ გაზეთებულის ყავილებთ გვახსოვს ამ სახალხო თეატრში ალ. წულუკიძეს და კ. ზათარიშვილის მოღვაწეობა, რომელმაც საკმაოდ გაზოარნა ნაყოფი...

ეს სახალხო თეატრი მათ უფრო საინტერესო და ხანშვნელოვანი არის, რომ აქ იკრიბება ისეთი ხალხი, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროებს სახალხო წარმოდგენებს.

ამ სეზონში სახალხო სახლის ძალები დიდ იმედებს იძლევიან. სასიამოვნოა, რომ ახალი ძალები, რომლებიც სახალხო სახლის სცენაზე ამ ბოლო დროს დაიწყეს მოღვაწეობა დიდ ინტერესს და გულოვანებას იჩენენ.

მათ, უეჭველია, ხელს უწყობს საკმაოდ ცნობილი რეჟისორის და დრამატურგის შალვა დადიანის გამოცდილი ხელი, რომელიც ამ სეზონში მათთან მუშაობს. პიესები ხშირ ხშირად იდგმება და უმეტეს შემთხვევაში—დიდის ენერგიითა და შეფერ ანსამბლით.

აღნიშნულ თეატრში ნოემბრის 17-ს, მეორედ ამ სეზონში, წარმოდგენილი იქმნა ია ეკალაძის ცნობილი პიესა „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“ (№ 21 †) უნდა ითქვას, რომ პიესა ხალხთან ახლოს არის და ძაყურებელი იმდენად კარგად იცნობს პიესაში გამოყენილ ტიპებს, რომ ამ ტიპების განცდაში სიღრმისა და პიესის ფსიქოლოგიურ მთლიანობის სისუსტის მიუხედავათ მაინც სახალხო სახლისთვის იგი შესაფერისად და დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ამ დღეს პიესის შესრულებაც გვარიანი იყო, რაშიაც პირველი ადგილი უჭირავთ თ. გოგოლაშვილს (ვანო) და ა. მეტრეველს (კოვზირ ძე) იჭირავთ. მშვენიერი იყო თ. გოგოლაშვილი, (ვანო ლომური) უკანასკნელ მოქმედებაში. ეს მსახიობი—ქალი უკვე მომწიფებული ძალა არის და სახალხო სახლისთვისაც საუკეთესო ძალად უნდა ჩაითვალოს. ასევე ითქმის ალ. მეტრეველზე (კოვზირიძე), რომელიც ძხოლოდ ერთ ადგილას იყო სუსტი: უკანასკნელ მოქმედებაში გაუფრთხილებელი შემოსვლითა და ფარდის ამოფარებისას შეუფერებელ სახის გამომეტყველებით. სამაგიეროდ იგი შეუდარებელი იყო მესამე მოქმედებაში, კრებაზე, რომელსაც ამხ ლს ლეონ ბერგს ჯაშუშს)..

არა უშავდა რა ლეონ ბერგის როლის აღმსრულებელსაც—ა. ლითახიშვილს; იგი ახალი ძალა არის და მისგან ბევრი ცოდა მოსალოდნელი.

სუსტი იყო ყარდაშიანის როლის აღმსრულებელი (ბ. ბენთეშაშვილი); მ-ს ალბად, ნ. გოცირიძის შემდეგ (რომელიც ამ როლს თამაშობდა) დიდი პრეტენზია და მომზადება დასჭირდებოდა, რომ მოგვწონოს.

ამ სადამოს ვ. ნინიძეც (როტმისტრ შვილიევის როლში) მოსუსტებდა, სამკაცრე ნაძალადევი გამოსდიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი ნინიძე გაცილებით უკეთ შეასრულებდა ლეონ ბერგის როლს, ვიდრე როტმისტრისას და ვიდრე ლითახიშვილმა შეასრულა იგი; ეს, რომ სასურველია როლების ნეფერებასაც მიექცეს ყურადღება.

კარგები იყვნენ ბ. გომართელი თეიდრე პატრიშვილის როლში და ალ. ადამიძე როტმისტრის ხარპის როლში. განსაკუთრებით უკანასკნელმა (ალ. ადამიძემ) დაკვირვებით შეასრულა ლოთი, უბრუნველი, მაგრამ გულკეთილი როტმისტრის როლი. ეს სცენა (მეორე მოქმედებაში) როტმისტრ ვილიევმაც (ნინიძემ) კარგად ჩაატარა.

ყველა სხვა მონაწილენი ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

წარმოდგენას ხალხი ბლომად ეესწრო და კმაყოფილიც დაიშალა დამის 12 საათზე.

ყარამან ბაქინაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26.

შრომის სახალხო კომისარიატისა

კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ.

1. კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის უნდა წარმოდგენილ იქმნას შრომის სახალხო კომისარიატში ან მის ადგილობრივ განყოფილებებში ხელშეკრულების დედანი და ორი ასლი თანდართულ შევსებულ „სარეგისტრაციო ბარათით“, სტატისტიკურ განყოფილების მიერ შემუშავებულ ფორმის მიხედვით.

შენიშვნა: კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ამიერ კავკასიის მაშტაბით ასეთივე წესით წარმოდგენილ უნდა იქმნას შრომის კომისარიატში.

2. კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაცია უნდა მოხდეს სამი დღის განმავლობაში დღიდან მისი წარმოდგენისა, ხოლო ძალაში შედის დღიდან დაინტერესებულ მხარეთა მიერ ხელმოწერისა, მიუხედავად იმისა, თუ რიდის იქნება ხელშეკრულება გატარებული რეგისტრაციაში შრომის კომისარიატის ორგანოების მიერ.

3. ხელშეკრულებათა რეგისტრაცია ხდება „კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში“, ჩაწერის წესით: ეს წიგნი შედგენილ უნდა იქმნეს შემდეგი წესით: 1) №№ რიგზე, 2) რეგისტრაციაში გატარების დრო, 3) ხელშეკრულების ხელმოწერის დრო, 4) ვისა და ვის შორის დაიდო ხელშეკრულება, 5) ვინ გაატარა ხელშეკრულება რეგისტრაციაში (ოფიციალურ პირის გვარი), 6) დრო, როდესაც მიეცათ ასლები მხარეებს და მათი ხელმოწერა ასლების მიღების შესახებ.

4. კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში გატარების შემდეგ დანზე უნდა იქნეს სარეგისტრაციო წარწერა შემდეგი შინაარსისა: „გატარებულია რეგისტრაციაში შრომის სახალხო კომისარიატის (ან და შრომის განყოფილების) კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში ამ და ამ ნომრით“ (ხელის მოწერა).

შენიშვნა: სარეგისტრაციო წარწერა უნდა ხელმოწერილი იყოს პასუხისმგებელ თანამშრომლის მიერ, რომელსაც დაკისრებული აქვს ხელშეკრულებათა რეგისტრაცია.

5. ხელშეკრულების დედანი ინახება შრომის კომისარიატში (შრომის განყოფილებაში), მხარეებს კი მიეცემათ ოფიციალურად შემოწმებული ასლები, რომლებზედაც უნდა იყოს სარეგისტრაციო წარწერაც.

6. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დედანი და ასლები ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეკინძული და ზონარის თავები დალუქული. თუ რომელიმე შრომის განყოფილებას არა აქვს ლუქის ბეჭედი, უნდა დაუსვან უბრალო ბეჭედი და ხელმოწერა ოფიციალური პირისა, რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას.

დედანი ინახება შრომის სახალხო კომისარიატში (შრომის განყოფილებაში) ცალკე პაპკაში, სარეგისტრაციო ნომრების მიხედვით.

კოლექტიური ხელშეკრულების ასლები ეძლევათ მხარეებს, მათი წარმომადგენელთა სარეგისტრაციო წიგნში ხელმოწერის ქვეშ.

შენიშვნა: ხელშეკრულებებს თანდართული სარეგისტრაციო ბარათები ინახება ცაუკე პაპკაში და ყოველთვიურად უნდა გადაეცეს სტატისტიკურ განყოფილებას მიმდინარე თვიური სტატისტიკისათვის.

7. გარდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სარეგისტრაციო წიგნისა, უნდა შედგენილ იქმნას ხელშეკრულებათა საალფავიტო წიგნი, რომელშიაც ყოველი ხელშეკრულება ჩაიწერება ორ ჯერ, მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სახელმწიფოებისა და მწარმოებელთა სახელმწიფოების დაწყებითი ასოების მიხედვით. ამ წიგნში აღნიშნულ უნდა იქმნას სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის დრო.

8. რეგისტრაციაში არ უნდა იქმნეს გატარებული ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჰქმნის—მუშა-მოსამსახურეთათვის უფრო მძიმე პირობებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია არსებულ შრომის კანონდებულებით. ამ შემთხვევაში შრომის კომისარიატი (ან შრომის განყოფილება) ორი დღის განმავლობაში ვალდებულია ა) შეიტანოს მე-4-ე მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ პირთა მიერ ხელმოწერილი, დასაბუთებული დადგენილება რეგისტრაციის უარყოფის შესახებ, ბ) იმავე ვადაში აცნობოს დადგენილება მხარეებს, ამასთანავე კოლექტიურ ხელშეკრულების დედანი და ერთი ასლი ეგზავნება უკან იმ მხარეს, რომელმაც შემოიტანა ხელშეკრულება, ხოლო მეორე ასლი კი რჩება შრომის კომისარიატს.

9. კოლექტიურ ხელშეკრულების უარყოფის შესახებ დადგენილების განსაჩივრება შეიძლება სამი დღის განმავლობაში უმაღლეს ინსტანციაში, რომლის დადგენილება საბოლოოა.

შენიშვნა: ასეთივე წესით შეიძლება განსაჩივრებულ იქმნას რეგისტრაციის დაგვიანება.

10. ეს დადგენილება ვრცელდება ავრედვე სატარიფო შეთანხმებებზედაც.

შრომის სახალხო კომისარი. ა. იაშვილი.

საქმეთა მმართველი **მ. ბარნაბიშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

მილიციის გაწმენდა

რესპუბლიკის მილიციის გაწმენდის

ცენტრალური კომისია

სთხოვს ყველა აძხანაგებს და მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობა მილიციის რომელიმე თანამშრომლის შესახებ, რომ ის არა სდგას **თავის თანამდებობის სიმაღლეზედ** წარადგინოს კომისიებში ასეთი ცნობა. კომისიები არსებობენ საქალაქო და სამაზრო მილიციის სამმართველოებთან, ხოლო რაც შეეხება ტფილისის მილიციის თანამშრომლებს, მათ შესახებ ცნობა წარდგენილ უნდა იქნეს მილიციის პოლიტსამდივნოში (შინაგან სახ. კომისარიატში).

კომისიის თავმჯდომარე: **ვლ. ქავთარაძე.**

164 7—1

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ქალაქ ტფილისის საბჭოს განათლების სექციის კრება არ შესდგა

საკმაო წევრების გამოუცხადებლობის გამო, კრება ხელმეორედ ინიშნება **სამშაბათს, 21 ნოემბერს.** სადამის 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენაბზე. სხდომა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს კრებაზე. გამოუცხადებელი წევრები გარიცხულ იქნებიან სექციიდან.

აღმასკომის მდივანი **ლ. თიკანაძე.** № 155 2—2

ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡᲗᲐᲜ (ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲐᲡ Ქ. № 10)

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

კანით და ვენერიულთათვის

განყოფილება. ავადმყოფები მიიღებიან ყოველ დღე 9—10 საათამდე, გარდ კვირა უქმე დღეებისა.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგე **გაწაძე.** № 160 3—2

ნოემბრის 21-ს დილის 10 საათზე
ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში
დანიშნულია კრება

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲚᲛᲬᲘᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ.

161—1—1 სახელმწიფო-საინფორმაციო განყოფილება.